



იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№01/33-19

2019 წლის 04 ნოემბერი  
ქ. თბილისი

იუსტიციის უმაღლესი სკოლის იუსტიციის მსმენელთა XIV ჯგუფის 6-თვიანი სასწავლო კურსის  
მსმენელთა საკვალიფიკაციო სიის დამტკიცების შესახებ

2019 წლის 26 სექტემბერს ჩატარდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის XIV ჯგუფის მსმენელთა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა, რის შედეგადაც, სრული სასწავლო კურსი დაასრულა იუსტიციის მსმენელთა XIV ჯგუფის შვიდმა მსმენელმა (6-თვიანი სასწავლო კურსი).

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მიხედვით, სკოლაში სწავლების დამამთავრებელი გამოცდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში სკოლის დირექტორი, სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს, იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიას. შესაბამისად, სკოლის დირექტორმა სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგ იუსტიციის მსმენელთა XIV ჯგუფის 6-თვიანი სასწავლო კურსის მსმენელთა საკვალიფიკაციო სია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის „დ.კ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 29-ე და 30-ე მუხლების საფუძველზე, დამოუკიდებელმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს იუსტიციის მსმენელთა XIV ჯგუფის 6-თვიანი სასწავლო კურსის მსმენელთა (შვიდი მსმენელი) საკვალიფიკაციო სია თანდართული რედაქციით (დანართი 1).
2. იუსტიციის მსმენელთა XIV ჯგუფის 6-თვიანი სასწავლო კურსის მსმენელებს ეცნობოთ მათი რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 04 ნოემბრიდან.

გიორგი ტყავაძე

დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე